№ 215

1877—1901

№ 215

პარასკევი, 5 ოქტომბერი, 1901 წ.

ივერია

პარასკევი, 5 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	ან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ელისაბედ ბრიგოლის ასული სულხანოვისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 6 ოქტომბერს, ავლაბრის კარმირ-ავეტარანის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ, დანიშნულია წლის წ რვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის ქმრის

ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვის

სულის მოსახსენებლად. პატივისმცემელნი სახლში (ავჭალის ქ. № 40) მობრძანდებიან. მოსახსენებელი სადილი გლახაკთათვის ხოჯივანქის სასაფლაოზედ იქმნება გამართული.

(2—216—1)

ქართული თეატრი

კვირას, 7 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

გაცრუებული იმედები

კომ. 2 მოქმედებად თხზ. ნ. აზიანისა.

II

მშვენიერი ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმედებად გად. ა. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე. გივიშვილისა და სხვ. ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 11 ოქტომბერს; მზადდება „ცხოვრება,“ დრ. 2 მოქ., „ჯადო სიყვარულისა“ დრ. 4 მოქ.

(3—ნ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ეკუკა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ალიბეგიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და საკვშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ბუჰალტერიისა და საკანტორო ცოდნათა

კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ნემეცურის ენისა** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—ნ.—9)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიძოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—1[illegible] ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროთერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ფელეტონი

სამეცნიერო ძიებანი.

ადამიანის სხეულის თვალით უხილავი მტრები და გაბედული აზრი ცნობილის მეცნიერისა.

პასტერისეულ ინსტიტუტის უფროსმა, ცნობილმა მეცნიერმა ი. მეჩნიკოვმა განათლებული ქვეყანა ერთხელ კიდევ აალაპარაკა და თავისის გაბედული აზრით, რომელიც ამ წელს აპრილში წარმოსთქვა ლიტერატორთა და ფილოსოფოსთა კრებაზედ მანჩესტერში, ყველა განაცვიფრა.

ფაგოციტოზის დიდებულმა ავტორმა და დაძაბუნებულ სხეულის განმაახლებელ საშუალებათა ცნობილმა გამომკვლეველმა (იხ. „ივერია“ № 282, 1899 წ.) მეცნიერმა დღე-მოკლე ადამიანის თვალით უხილავ მტრების (მიკრობების) სამთავროს თვალი კვალად მიმოავლო და დაასკვნა, რომ მათთან ბრძოლა უფრო სასტიკი და გაბედული უნდა იყოს, ვიდრე დღემდის.

მეჩნიკოვის მიერ ამ საგნის შესახებ მანჩესტერში წარმოთქმული სიტყვა მოკლედ აი, რას გადმოგვცემს:

დაბადების დროს ადამიანის სხეული მიკრობებს სრულიად არ შეიცავს; შიგნით თუ გარედ, სხეული სუფთა და ხელ-უხლებია. მაგრამ დაიბადება თუ არა ადამიანი, სხეულს მაშინვე აუარებელი მიკრობები ესევა და კანზედ, თუ შიგნით, ლორწოიანს გარსზედ (слизистая оболочка), სამუდამოდ ესახლებინ, ბუდეს იკეთებენ. რამდენისამე დღის შემდეგ მათი რიცხვი უკვე ლეგიონია და სხვა-და-სხვა გვარი მიკრობებისაგან შესდგება. ზაფხულობით უფრო ჩქარა და სწრაფად მრავლდებიან, (უმთავრესად ჰაერიდგანა ტ წყლიდგან) ვიდრე ზამთრობით, ტ 4 საათის შემდეგვე ნაწლავებში გადიან, სადაც რამდენიმე სხვა და-სხვა გვარი მიკრობი მოიპოვება. ყველაზედ მეტი მიკრობები-კი ლორწოიანს გარსშია, ვიდრე კანზედ, რადგანაც აქ მეტი საზრდო, მეტი საკვები მოეპოვებათ.

ეჭვი არ არის, მიკრობები სხეულის ულრმესს ნაწილებამდეც აღწევენ (სასულედგან ბრონხებსა და ფილტვებში გადიან), მაგრამ ისე მრავლად არა, როგორც ეს სხეულის დანარჩენს ნაწილებშია შენიშნული. რაც შეეხება მკვდარში აღმოჩენილს მიკრობებს, ეს-კი დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება, რადგანაც შესაძლებელია სიკვდილის შემდეგ გადვიდნენ როგორმე მეზობლად მდებარე ორგანოებიდგანა და სხ.

ყველაზედ მეტი მიკრობები ისევ საჭმლის ძომნელებელ ორგანოებშია დასახლებული, რომელ თაგანაც, მილლერის გამოკვლევით, მარტო პირში 30 მეტი სხვა-და-სხვა ჯურა მიკრობი მოიპოვება. ამათგან ბევრი ჭამადის სადენელს (пищевой трактъ) მილს ჩასდევს და კუჭსა და ნაწლავებშიაცა გეხვდებიან.

მართალია, კუჭის სიმჟავე ბევრის ამათგანისათვის მავნებელი და აუტანელია, მაგრამ არიან ისეთი მიკრობებიც, რომლებიც ამ სიმჟავეს არ უცხოობენ, შესთვისებიან. კოიონის (Coyon) სიტყვით, მარტოდ კუჭში თურმე მოიპოვება ოც-და-ათამდე სხვა-და-სხვა გვარი ისეთი მიკრობი, რომელსაც საჭმლის მომნელებელ ორგანებში ვერსად სხვაგან ვერ შეჰხვდებით.

ვერილს ნაწლავებშიაც 14-მდე სხვა-და-სხვა ჯურა მიკრობი აღმოაჩინეს მაკფადიენმა, ნენსკიმ და ქ-ნმა ზიბერმა და დაასკვნეს, რომ აღნიშნულს მიკრობებს საჭმელთან დიდი დამოკიდებულება აქვთ; ასე, მაგალითად, ხორცეული საჭმელი სულ სხვა გვარს მიკრობებს ავრცელებს, მცენარეული—სხვასაო.

წვრილი ნაწლავებიდგან მიკრობები შემდეგ სხვილს ნაწლავებში გადადიან და აქ სრულიად ახალს მიკრობებს უერთდებიან.

მიკრობების რაოდენობით სხვილი ნაწლავი ყველაზედ მრავალრიცხოვანათ უნდა ჩაითვალოს. თავისს საკუთარ მიკრობებისა გარდა, რომლებიც სხვაგან არსად არ არიან შენიშნულნი, სხვილი ნაწლავი შეიცავს პირისა, კუჭისა და წვრილი ნაწლავების მრავალს მიკრობებს.

ბაქტერიოლოგოსთა გამოანგარიშებითა და გამოკვლევით, სხვილი ნაწლავი სულ ცოტა 45 სხვა-და-სხვა გვარს მიკრობებს შეიცავს თურმე, რომელთაგანაც უმეტესობას ეგრედ წოდებული ბაცილები შეადგენენ. თუ რომ ბავშვი დედის რძით იკვებება, უფრო ერთგვარი ბაქტერიები მრავლდება, თუ არადა (მაგალითად, ძროხის რძით)—სხვა-და-სხვა გვარი და მათი საერთო რიცხვიც გაცილებით ძლიერ მატულობს. ხოლო, როდესაც რძით კვებას შესწყვეტენ და სხვა-და-სხვა საჭმელს დაუწყებენ ძლევას, მაშინ-კი ერთი-ორადა მატულობს მათი რიცხვი და ასე რჩება სიკვდილამდე. საზოგადოდ, სალი ადამიანის სხეულში 60—70-მდე სხვა-და-სხვა გვარი მიკრობი მოიპოვება.

ვინიალისა და ზუკდორფის მიერ შეკრებილის ცნობებით, ყოველ-დღე 30—50 მილიარდს მიკრობს თურმე მაინც გააყოლებს ადამიანი განავალსა, შარდსა, ოფლსა, კანის ნარეცხსა და სხ. მაშასადამე, აქედგან რა უზომოდ მრავალი უნდა იყოს მათი რაოდენობა სალი ადამიანის სხეულშიაც-კი, ეს, ბ-ნებო, თქვენ იფიქრევით!

ამათგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ზოგი კანშია დასახლებული, სახელდობრ, თმის ძირში და კანის იმ ნაჩვრეტებში, რომლებშიაც ოდესმე ბალანი ყოფილა აღმოცენებული და შემდეგ გადაგვარებულა, ზოგიც (უმეტესი ნაწილი) შიგნით, ლორწოიანს გარსში, ანუ აპკაში.

პირველს ამათგანს არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან, გარდა ზარალისა, მეორეს კი შეუძლიან. ასე, მაგალითად, პირის ლორწოიან აპკის ჭრილობა კანის ჭრილობაზედ გაცილებით ადვილათა და მალე რჩება, რადგანაც მიკრობების მიერ გამოდევნილი სხვა-და-სხვა გასახსნელი ნივთიერებანი ყველა მხრიდგან დიდ-ძალს ფაგოციტებს (სისხლის თეთრს გორგოლებს) იზიდავენ, რომლებიც დაჭრილს ადგილს ესევიან, მავნე მიკრობებისა და ნივთიერებათაგან ან თავისუფლებენ, დაავადებულს ხორც

Გ. Ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ს.

ს. ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დაოიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана

Тифлисъ, противъ памят Воронцову

ᲛᲐᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** „პრავ. ვესტნ.“-ში გამოქვეყნებულია დებულება კავკავის კადეტთა კორპუსისა. ამ „დებულებით“ კავკავის კადეტთა კორპუსში სულ 500 სახელმწიფო ვაკანსია დაეთმობა კავკასიის მკვიდრთა და კავკასიაში ნამსახურ და ამ ჟამად სამსახურში მყოფთა შვილებს. ეს 500 ვაკანსია ასე იქნება განაწილებული: 1) სამხედრო სამსახურში მყოფთა შვილებს—175, 2) სამოქალაქო სამსახურში მყოფ რუსთა და ადგილობრივ მკვიდრთა შვილებს—45, თავად-აზნაურთა შვილებს: ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქისა—133, ქუთაისის გუბერნიისა—84, ერევნისა, განჯისა, ბაქოს გუბერ., დაღესტნისა და თერგის ოლქებისა და ყუბანის ოლქის მთიელთათვის — შვიდ-შვიდი. ამას გარდა 24 სტიპენდიასაც ოლქის ჯარების უფროსი დანიშნავს.

თვით კავკავის კორპუსში იქმნება სულ 287 სახელმწიფო სტიპენდიანტი და 213—ყუბანისა და თერგის ყაზახთა ჯარის ის სტიპენდიანტი, რომელნიც დღეს ვარონეჟის, მოსკოვის, ტფილისის და სხვა კადეტთა კორპუსებშია. ხოლო ამ 213 ნაცვლად კავკასიის მკვიდრთა შვილებს სახელმწიფოდ მიიღებენ: 1) ვორონეჟის კორპუსში: ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის თავად-აზნაურთა შვილებს, რიცხვით 18, ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა შვილებს—49; 2) სუხუმში: კავკ. დაბადებულ სამხედრო სამსახურში მყოფთა შვილებს—5 და ტფილის. გუბ. თავად-აზნაურთა შვილებს—49, 3) ოდესისაში: კავკასიაში დაბადებულ სამხედრო სამსახურში მყოფთა შვილებს—5 და თავად-აზნაურთა შვილებს: ქუთაისის გუბ.—42 და ერევნ. გუბ.—7; 3) ორლიოვისაში: ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა შვილებს—10, ყუბანის ოლქის მთიელთა შვილებს—5; დანარჩენ კავკასიელთ მიიღებენ კიევისა და პალტავის კადეტთა კორპუსებში.

კავკავის კადეტთა კორპუსში ყაზახთა 213 სტიპენდიანტების გარდა ვაკანსიები დაეთმობა: 1) კავკასიაში სამსახურში ნამყოფ ან ამ ჟამად მყოფთა შვილებს (ეროვნების განურჩევლად): სამხედრო უწყებაში—165, სამოქალაქო უწყებაში—24; 2) ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებს—56 და 3) 24-ც იმათ, ვისაც ოლქის ჯარის უფროსი დანიშნავს.

*** როგორც მოგეხსენებათ, უმაღლესმა მთავრობამ გარდასწყვიტა ტფილისის ქალაქის ხმოსანთა ახალი არჩევანი სამს საარჩევნო კრებაზედ მოხდეს. სამშაბათს, 2 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა კავკასიის მთავარ-მართებელის მოწერილობა იმის შესახებ, რომ ხმოსანთა არჩევნებისათვის მზადებას ეხლავე შეუდგნენ და გარდასწყვიტა: 1) გამოცხადებულ იქმნეს ყველა ადგილობრივს გაზეთებში ყველა უძრავ მამულების პატრონთა საყურადღებოდ, რომ თუ ჰსურთ მომავალს არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, დაარქვონ და მათზე დარჩენილი შემოუტანელი გარდასახადი წარმოადგინონ,—2) მოსთხოვონ ცნობები იმ მემამულეთ, რომელთაც ქალაქის რამდენსამე ნაწილში აქვთ მამული, რომელს საარჩევნო ნაწილში ჰსურთ მიიღონ მონაწილეობა; 3) საარჩევნო კრების სამზადისს ეხლავე შეუდგნენ ქალაქის გამგეობის პირველს განყოფილებაში და ეთხოვოს ქალაქის მდივანს სტ. თ. ჭელაშვილს საარჩევნო მზადების დროს სამუშაოებში მონაწილეობა მიიღოს.

*** მუშათა მდგომარეობის როგორმე გასაუმჯობესებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაუწყვეტნია შეიმუშაოს პროგრამმა ეგრედ წოდებულ „სამუშაო წიგნაკებისა,“ რომელშიაც მოთავსებულნი იქმნებიან, ჯერ ერთი, დამქირავებელსა და მუშას შორის რა პირობები უნდა იქმნეს დადებული და მეორეც, პრაქტიკული რჩევა და დარიგება, თუ მუშას რა უფლება და მოვალება აქვს. აი, მოკლედ შინაარსი წიგნაკისა: 1) პასპორტიდგან ამოწერილი ადგილები, 2) ხელშეკრულობის ქაღალდი, 3) დაწვრილებითი აღწერა იმისი, თუ მუშას რა აქვს ნაკისრები, 4) რამდენი საათი უნდა იმუშავოს და რამდენი დაისვენოს, 5) კანონის ზოგიერთა მუხლი ამოწერილი, რომლებიც მუშების საქმეს შეეხებიან და 6) საანგარიშო ფურცელი, რომელშიც თვით მუშა იქმნება დახასიათებული.

*** „ტფილისის სამკვდრო კასისის“ წესდების პროექტის ხელახლად გადასასინჯად, რომელიც სამინისტროში იყო გაგზავნილი და უკანვე დაუბრუნეს ზოგიერთი ცვლილებით, კვირას, 14 ოქტომბერს, მიიწვევენ კრებას.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 2 ოქტომბრის სხდომაზედ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მოურავის გარდაცვალების შემდეგ გამგეობაში მხოლოდ სამი წევრი-ღა დარჩა და საქმეებს ძლივს ასწრობენ, აგრეთვე ის, რომ ახალ ხმოსახთა არჩევნები მომავალ წლამდე არ იქნება, გარდასწყვიტა საბჭოს წინაშე იშუამდგომლონ, რომ 5 მარტის დადგენილება გაუქმებულ იქმნეს და გამგეობის მეოთხე წევრი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის ნაცვლად ახლავე ამოირჩიონ. ამ საქმის შესახებ მოხსენებას ქალაქის საბჭოს განსახილველად ორშაბათს, 8 ოქტომბერს, წარუდგენენ.

*** კავკასიის შინა მრეწველთა კრება კვირას, 7 ოქტომბერს, არის დანიშნული კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

*** საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის შუამდგომლობით ტფილისის სამხატვრო სასწავლებლისათვის სახელმწიფო ხაზინას ყოველწლიურად 7000 მან. დაუნიშნია. აღნიშნულს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ სამხატვრო აკადემიაში პირდაპირ გამოუცდელად მიიღებენ.

*** კავკასიის მთავარ-მართველის განკარგულებით 7 ოქტომბრიდგან ტფილისის ჯარებმა ზამთრის ტანსამოსი უნდა ჩაიცვან.

*** შინა მრეწველობის ... ტეტს განზრახვა ... ლისში საგანგებო მუზეუმი დააარსოს, სადაც კავკასიური შინა ხელოვნებანი იქმნებიან მოთავსებულნი.

*** უცხო ერის შვილები რომ სასულიერო სასწავლებლებში შესვლის დროს არ დააბრკოლონ ხოლმე, უწმ. სინოდს დაუდგენია 1900 წლის 14 მარტის შემზღუდველს ბრძანებას იგინი არ დაუმორჩილოს, რომელიც აღნიშნულს სასწავლებლებში 10% მეტი უცხო ერის შვილთა მიღებას შეუძლებლად ჰხდის.

*** როგორც ტფილისის რეალურ სასწავლებლის ამ წლის ანგარიშიდგანა სჩანს, მთელს სასწავლებელში რუსი მოსწავლე ყოფილა 287, ქართველი 102, სომეხი 249, თათარი 17, ებრაელი 9 და დანარჩენ ეროვნებათა 76.

*** საგუბერნიო მთავრობას უმართებელეს სენატისაგან შემდეგის შინაარსის ცირკულიარი მოუვიდა: კბილის ექიმების მოწაფეებს დანტისტების წოდების მიღების ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ სამსახურს არ შესწყვეტამენ კბილის ექიმებთან, მასთანავე ნება აქვთ ერთის ექიმისაგან მეორესთან გადავიდნენ. მხოლოდ ავათმყოფობის მიზეზით შეუძლიანთ 6 თვით დაეთხოვონ საქმეს.

*** 30 სექტემბრის სხდომაზედ ქალაქის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ციციანოვის კლდის გამაგრების საქმე, გარდასწყიტა სთხოვოს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დანიშნოს ტეხნიკოსი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, რა საშუალება უნდა იქმნეს მიღებული ამ კლდის გასამაგრებლად ციციანოვის აღმართი კომისიის გარდაწყვეტილებით დროებით იქ...

გიახლებიან და ამ რიგად ჩქარა და მალე მორჩენას ხელს უწყობენ.

მართალია, ჭამადის სადენელ მილის ღრმა ადგილებში მიკრობების ასეთი სასარგებლო მოქმედება ძლიერ შეზღუდულია, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი სარგებლობა მოაქვს წვრილი ნაწლევების მიკრობების მიერ გამოდევნილს ერთგვარს წვენს, რომელიც ზოგიერთა დიდად საშიშ და მავნე, მაგალითად, აზიურ ხოლერის მიკრობებზედ, მომაკვდინებელადა ჰმოქმედებს, განვითარებაში ხელს უშლის. აი, მაგალითიც: ვიდრე დედის რძით იკვებებიან პაწია ბაჭიები და, მაშასადამე, მათს ნაწლევებში მხოლოდ ერთგვარი მიკრობებია ჩასახლებული, იმ დრომდის ხოლერის ვიბრიონებს ვერ უძლებენ და იხოცებიან, როდესაც საჭმელს იცვლიან და მცენარეულით იწყებენ საზრდოობას, მაშინკი თავისუფლად ეძლებენ, თუნდაც გადაყლაპულ ვიბრიონების რაოდენობა ერთი სამად და ოთხად მეტიც იყოს, ვიდრე უწინ.

ეჭვი არ არის, ამ შემთხვევაში წინააღმდეგობას მცენარეული საჭმლის მიკრობები უწევენ.

გარდა ამისა, მეჩნიკოვიც და სხვანიც ბევრნი საჭმლის მონელების საქმეში მიკრობებს ერთიან დიდს მნიშვნელობას აწერენ. პირ-იქით მეჩნიკოვის აზრით, უმიკრობებოთ საჭმლის ნორმალურად მონელება შეუძლებელი თურმე იქმნებოდა.

ასეთია მოკლედ სარგებლობა სხეულის იმ უთვალავ მიკრობებისა, რომლებიც შიგნით თუ გარედ ჩვენდა დაუკითხავად ჩამოგვსახლებიან და რომლებსაც წერილის სათაურში უხილავი მტრები ვუწოდეთ. მაშ ვნახოთ, ახლა, მტრობა და ვნება რაღამდენად დიდი შესძენიებიათ და რამდენად სამართლიანად დავდევით სახელი უხილავი მტრებისა.

სამწუხაროდ, მავნებლობა მათი ერთი-ორად მეტი და საშიში თურმეა და როგორც-კი რაიმე მიზეზით სხეულის საწინააღმდეგო ძალა კლებულობს, მიკრობები მაშინვე ერთიორად მრავლდებიან და, კანზედ თუ შიგნით, სხვა-და-სხვა ორგანოებში, ათას ნაირს ავადმყოფობას ავრცელებენ. ყველაზედ მეტი ვნება-კი კუჭისა და ნაწლევების მიკრობებს მოაქვთ. დიდი ხანია იცოდნენ უკვე, მაგალითად, რომ ადამიანის ავადმყოფობათა უმეტესობა ნაწლავებიდგანა ვრცელდება, მაგრამ სარწმუნოდ დამტკიცება ამისი არ შეეძლოთ. კარგად იცოდნენ, მაგალითად, რომ რაიმე მიზეზით ნაწლევების გაჭრას თუ გაწყვეტას ხშირად სიკვდილი მოსდევდა, მაგრამ არ იცოდნენ ის, თუ ამისი მიზეზი მიკრობები და მათ მიერ ვამოწვეული მუცლის ბუდის (брюшина) ძლიერი ანთება იყო. მიკრობებს-კი მთელი ნაწლევებიდგანაც შეუძლიანთ თურმემოხერხებულს დროს სისხლსა და სხვა-და-სხვა ორგანოებში აგსვლა და აქ მათი დაავადება.

შენიშნულია, მაგალითად, რომ ზოგიერთი ცხოველების (ცხენებისა და ძაღლის) ნაწლევებიდგან მიკრობები მუდამ თავისუფლად გადიან სისხლში. ასრევე ხდება უთუოდ ადამიანის სხეულშიაცა და თან გაქვთ ის მავნებელი და მომშხამველი ნივთიერებანი, რომლებიც ხშირად თითონ მიკრობების გაუსვლელადაც გაჰყონვენ ხოლმე ნაწლევებიდგანა და სისხლს შეერთვიან.

მეჩნიკოვისა და სხვა ცნობილ მეცნიერების აზრით, ნაწლევების მიკრობების მომშხამველ ნივთიერებას უნდა მიეწეროს: სხვა-და-სხვა გვარი თავის ტკივილი, სხეულის მოუძლურება და მოდუნება, ნევრასტენია, ზოგიერთა გვარი ავადმყოფობა ეპილეპსიისა, კანის სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობანი, მუწუკები და სხ. მიკრობებისავე მომშხამველს გავლენას უნდა მიეწეროს აგრეთვე დაავადება ზოგიერთა უმაღლეს ორგანოებისა, მაგ. ტვინისა, გულისა, თირკმელებისა, ღვიძლისა და სხ. თითქმის არტერიების სკლეროზსაც კი (გამაგრებას), სიკვდილს, რომელიც ასე საშინლად გვიმოკლებს სიცოცხლეს, ნაწლევების მიკრობებს ამიზეზებენ. ასე, მაგალითად, ნამდვილად ცნობილია, რომ ზოგიერთი მიკრობებიანი გადამდები ავადმყოფობა — ინფლუენცა, დროგამოშვებითი ციება, სახადი, ხუნაგი და ხრონიკულ გადამდებ ავადმყოფობათაგან ათაშანგი (სიფილისი) ხშირად არტერიო-სკლეროზს მიზეზად უხდებიან. ამ რიგად, ყოველგვარ ავადმყოფობის მიზეზად ისევ მიკრობები და მიკრობები უნდა იქმნენ ჩათვლილნი, უამათოდ დედამიწის ზურგზედ არც ერთი სენი არ იქმნებოდა.

ამიტომაც სამკურნალო მეცნიერება მუდამ იმის ცდაშია, რომ ჩვენის სხეულის მიკრობების მავნე გავლენა როგორმე ვააუქმოს, თავიდ ვან აიცილოს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის ეს ვერ მოუხერხებია: დეზინფექციამ ჭრილობისა და კანისამ მოსალოდნელი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგანაც ძლიერი სადეზინფექციო საშუალება თვითონ სხეულზედაც მომაკვდინებელადა ჰმოქმედებს და მეორეც, დაფარულ ადგილების როგორმე მეხანიკურად გაწმენდა და გასუფთავებაც არა ხერხდება, რადგანაც ვერ უდგებიან.

ყოველს შემთხვევაში ამ ბოლოს დროს ანტისეპტიკას მაინც ასეპტიკას ამჯობინებენ ისევ და სცდილობენ მხოლოდ მავნე და მომშხამველი ნივთიერებანი თუ მიკრობები მოაცალონ როგორმე სხეულსა და არ მოუწამლონ, რადგანაც ასეთი მოწამლვა თვითონ სხეულის ქსელის უჯრედებზედა და ნაზ კანზედ მავნებლად ჰმოქმედებს.

მაშასადამე, ადამიანის სხეულის ამ უხილავი მტრების წინააღმდეგ ჯერ კიდევ ვერა გამოუგონიათ-რა. ადამიანი ისევ მათგან არის დამოკიდებული, როგორც უძლურ ძლიერისაგან.

როგორ და რა ნაირად უნდა ეცველოს ამ ბოროტების წინააღმდეგ ადამიანს, მეჩნიკოვი აი, რას ჰფიქრობს ამის შესახებ: დარვინის ტეორიისა იანახმად, ორგანიზმისათვის ესდენ მავნე მიკრობები ბუნებით შერჩევის კანონებით, აქამდეც უნ... და მოსპობილიყვნენ, მაგრამ ეს ა... მომხდარა. რითი უნდა იხსნას ასეთი წინააღმდეგობა? დადგენილია, რომ ორგანიზმისათვის არა-თუ მავნე, უსარგებლო თვისებებიც-კი, ნელ... ნელა უთუოდ უნდა მოისპნენ. მაგრა მიზეზია, რომ მიკრობები აქამდე არ მოსპობილან?

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მიკრობების უმ...

ბნება გახსნილი მოსიარულეთათვის, ხოლო რადგანაც წვიმიან დღეებში ქვა სცვივა ალდ[illegible]დგან, დაქირავებული იქმნება კაცი ქუჩის გასაწმენდად.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ.

სამთო განყოფილება.

ვინ არ იცის, რომ კავკასია ბუნებისაგან მეტად უხვად არის დაჯილდოვებული? ჰავას, ნიადაგის ნაყოფიერებას, ადგილ-მდებარეობის სიმშვენიერეს რომ თავი გავანებოთ, გასაოცებლად მარტო ის სიმდიდრეცა კმარა, რაც კავკასიის მიწის ბუნებაში დამარხული. ამ მხრივ კავკასიას იშვიათად შეედრება დედამიწის რომელიმე კუთხე. მართლაც-და რა გნებავთ, რომ კავკასიის ველ-მინდორსა და მთებ-გორებში არ მოიპოვებოდეს, ნავთი, ქვა-ნახშირი, შავი-ქვა, სპილენძი, მარილი, ოქრო, ვერცხლი, მარმარილო, ლიტოგრაფიის ქვა—ყველა ეს უხვად არის გაბნეული, თუმცა ყველა ამის დამუშავებას მხოლოდ ეხლა იწყობენ.

თუ რა საოცარის სისწრაფით იზრდება სამთო წარმოება, ამას ის ორიოდე ციფრიცა მოწმობს, რომელსაც გამოფენის სამთო განყოფილებაში შეჰხვდებით. ათ წელიწადში (1890—1900) სამთო წარმოებას კავკასიაში მოუცია 370,112,880 მანეთი; წინა ათ წელიწად-კი ამის მერვედიც არ იყო.

როგორც ვუწყით, ქვა-მაღაროების საქმეს კავკასიაში სამთო გამგეობა განაგებს. აი, ამ სამთო გამგეობას რამდენი მანეთი ჰქონია შემოსავალი და ხარჯი:

	ხარჯი	შემოსავალი
1892 წ.	17,837	188,033
1895 „	86,788	211,274
1900 „	115,611	4,409,904

ამ მიმდინარე წელს გამგეობას ხარჯი 200 ათას მანეთამდე ექნება, შემოსავალ-კი 10 მილიონამდე.

სხვა-და-სხვა ზოდების ნიმუშები სამთო განყოფილებაში კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდგანაა მოტანილი. მშვენიერი ლიტოგრაფიის ქვები გამოუფენიათ თავ. ჩოლაყაშვილსა და თავ. ალ. ივ. ჯამბაკურ-ორბელიანს. პირველს მატაანის მამულიდგან მოუტანია, მეორეს—დუშეთის მაზრის სოფ. საძეგურიდგან. ალავერდის ქარხნის სამრეწველო და სამეტალურგო საზოგადოებას ცალკე ფარდულში გამოფენილი აქვს ზოდები სპილენძისა და სხვა ლითონისა, დიაგრამები და სურათები. შავის-ქვის მწარმოებელთა საბჭოს ჭიათურიდგან სხვა-და-სხვა ადგილის შავი-ქვა გამოუგზავნია: რგანისა, დარკვეთისა, პერევისისა, შუკრუტისა, ზედა-რგანისა ტ მღვიმევისა. კარგს იზამდა საბჭო, რომ თან რამე ცნობებიც გამოეყოლებინა შავის-ქვის წარმოების შესახებ. სხვა ქვა-მაღაროებისა და მთა-მადნების პატრონთაც ბევრი რამა აქვთ გამოფენილი.

ყველაზედ მეტ ყურადღებას ამ განყოფილებაში ტყვარჩელის ქვა-ნახშირი და ბ-ნ ბეთანიშვილის მიერ გამოფენილი ეგრედ წოდებული „მარმარილოს ონიქსი“ იქცევს. ერთიცა და მეორეც ამ ცოტა ხანშია აღმოჩენილი. ქვა-ნახშირი, როგორც ვუწყით, კავკასიის სხვა ადგილებშიაც მოიპოვება, მაგალ., ტყვიბულაში, მაგრამ ვერც ერთის დღემდე კავკასიაში აღმოჩენილ ადგილის ქვა-ნახშირი თვისებით ტყვარჩელისას ვერ შეედრება. ამ მხრივ იგი, როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, ინგლისის საუკეთესო ქვა-ნახშირს არ ჩამოუვარდება. უმთავრესი ისაა, რომ ტყვარჩელის ქვა-ნახშირისაგან ეგრედ წოდებულ „კოკს“ ამზადებენ, რომელიც მეტად საჭიროა სამეტალურგო ქარხნებისათვის. ამას გარდა, ტყვარჩელში დიდძალი ქვა-ნახშირი აღმოჩნდა. ქვა-ნახშირიანი ადგილი იქ 42 ოთხ-კუთხი ვერსია. მცოდნე კაცთა გამოკვლევით, ამ ადგილას 13½ მილიარდ ფუთამდე ქვა-ნახშირი იქმნება.

აი ეს ამოდენა სიმდიდრე დღეს ბ-ნ ბუტმი დე კაცმანის მიერ შედგენილ ამხანაგობის ხელშია. გაზეთები ამ ორ წელიწადს ბევრსა სწერდნენ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის შესახებ. ბ-ნ ბუტმი დე კაცმანის წინად სხვებმა აღმოაჩინეს ტყვარჩელში ქვა-ნახშირიანი ადგილები და მიჰმართეს კიდეც სამთო გამგეობას (ადგილი სიახაზინოა) გამოსაკვლევად და საწარმოებლად ნებართვის მიცემისათვის, მაგრამ 1897 წელს საიდგანღაც გაჩნდა ბ-ნი ბუტმი დე კაცმანი, სხვები თავიდგან მოიშორა და მთელი ეს ადგილი თავის სახელზედ გადაიტანა. ეგვი არ არის, ტყვარჩელის ქვა-ნახშირს დიდი მერმისი მოელის. ჯერ ეხლავე მიუმართავს ბუტმი დე კაცმანისათვის ერთ ინგლისურს ამხანაგობას და უთხოვნია ამ ადგილის გადაცემა. ამასვე თხოულობს რუს-კაპიტალისტთა ამხანაგობაც, რომელსაც აზრად აქვს ჩრდილოეთ კავკასიიდგან ამიერ კავკასიაში შავის ზღვის პირად რკინის გზა გამოიყვანოს. უთუოდ მალე შეუდგებიან კიდეც ტყვარჩელში მუშაობას და წარმოებას. ინჟენერი ჩერნევსკი, რომლის ანგარიშითაც ჩვენი ვსარგებლობთ, ამბობს, რომ წელიწადში ტყვარჩელიდგან 100 მილიონ ფუთის გამოსატანად საჭირო იქმნება 8-დგან 10 ათას მუშამდეო. აქედგან, ინჟენერის აზრით, 4000 დახელოვნებული ხელოსანი და მუშა რუსეთიდგან უნდა იქმნას დაბარებული, დანარჩენ მუშებად შეიძლება სპარსელები და მცირე აზიის ბერძენნი იქმნენ მიწვეულნი. თუ მართლა მომავალი მწარმოებელნი ასე მოიქცნენ, ადგილობრივი მკვიდრნი ბევრ ვერაფერს მოიგებენ ამ მდიდარ წარმოებისაგან: თანხის პატრონი ხომ უცხოელნი არიან, მუშებიც უცხოენი და სხვა ქვეყნის შვილნი იქმნებიან.

როგორც ზემოდაც ვსთქვით, სამთო განყოფილებაში დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ბ-ნ ი. ს. ბეთანიშვილის მიერ გამოფენილი მარმარილოს ქვები ანუ ონიქსი. წმინდა მარმარილოს ანუ ონიქსი ამერიკასა და ევროპაში მეტად დიდი ფასი აქვს. ამ ქვისაგან ამზადებენ ათას სხვა-და-სხვა ძვირფას ნივთებს. ამას გარდა, სახლების აშენებაზედაც ხმარობენ, განსაკუთრებით ამერიკაში, ხმარობენ ფანჯრებისა და კარების ჩარჩოებად, სვეტებად, ბუხრებს აშენებენ, კიბეებს და სხვა. საუკეთესო სასახლეები ამერიკასა და ევროპაში ამ მარმარილოთია დამშვენებული. მარმარილოთი ყველაზედ მდიდარი ამერიკაა. ამერიკის გარდა მარმარილო მოიპოვება ეგვიპტესა და ალჟირში, ხოლო უფრო მდარე თვისებისა ზოგიერთ სხვა ადგილებშიაც.

კავკასიაში თუ ეს ძვირფასი ქვა მოიპოვებოდა, არავინ უწყოდა, თუმცა, როგორც ბ-ნი ბეთანიშვილი სწერს, ამ ქვას უწინ საქართველოს მეფეების დროსაც ხმარობდნენ. ამას მოწმობს ის მარმარილოს საფლავის ქვები, რომლებსაც კაცი ქაშვეთის, კალოუბნის და ვანქის ტაძრების გალავნებში შეჰხვდება. პირველად ბეთანიშვილს კავკასიის მარმარილოსთვის ყურადღება ლონდონში მიუქცევია 1897 წელს. აქ ბრიტანიის მუზეიში უნახავს კავკასიურ ონიქსისაგან გაკეთებული ვაზა. ეს ონიქსი სპარსეთში მყოფ ინგლისის ელჩს გაუგზავნია.

დაბრუნებისას ბეთანიშვილი გულმოდგინედ შესდგომია მარმარილოს სამშობლოს ძებნას და ბევრის შრომისა და მეცადინეობის, მგზავრობისა და გამოკითხვის შემდეგ [illegible] ვნია კიდეც. ეს ადგილი [illegible] ოლქშია, ფოსხოვის ნაწილში, არსიანს, რომელიც ახალციხიდგან 45—50 ვერსის მანძილზედ მდებარეობს. ბეთანიშვილი მაშინვე შესდგომია თხრას, ამოუღია მრავალი მარმარილოს ქვები და გაუგზავნია გასასინჯად და გამოსაკვლევად ლონდონსა, პარიზსა, ვენასა და ბერლინში. ყველგან არსიანის ქვა მეტად კარგის თვისების მარმარილოთა უცვნიათ, იგი ბევრით სჯობია თურმე ალჟირის მარმარილოს და არაფრით ჩამოუვარდება ამერიკის საუკეთესო ონიქსს. ამით გამხნევებულს ბეთანიშვილს მიუწვევია გეოლოგი და ქიმიკოსი, დაწვრილებით გამოკვლევას შესდგომია იმ ადგილისას, სადაც მირმარილო აღმოუჩენია. შემდეგ ამ ადგილის ექსპლოატაციაც განუზრახავს, პირობით შეჰკვრია ცნობილ ნავთის მწარმოებელ რილსკის, მაგრამ რილსკიმ, როგორც ვუწყით, თავი ჩამოიხჩო საპყრობილეში და საქმე ამიტომ შეჩერდა.

ბ-ნ ბეთანიშვილს მრავალი ნივთები გამოუფენია, ამ მარმარილოსაგან გაკეთებული.

ᲓᲐᲑᲐᲓᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ

ᲖᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ. ამ ხუთის წლის განმავლობაში, რაც ბ-ნი ე. მამინაიშვილი იღვწის სვანეთში, მ-ნ დააარსა ხუთი სკოლა: ჩოლურისა, ცხმარისა, ეწერისა (ორ-კლასიანია), ფარისა და ლაზამურისა. ორი სკოლაც (იფარისა და მესტიისა) ბ. მამინაიშვილის ინსპექტორათ დანიშვნამდე არსებობდა; მაშასადამე, დღეს მართ. ქრ. აღმ. საზოგადოებას სვანეთში სულ შვიდი სკოლა აქვს. მაგრამ სვანეთის განსაკუთრებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ნივთიერმა მდგომარეობამ

ტესობა ყოვლად უსარგებლო და თითქმის მავნებელ ორგანოებში არიან ჩასახლებულნი, მაგალითად, ანის იმ ნაჩვრეტებში, სადაც ოდესმე თმები ყოფილა აღმოცენებული და დღეს გაუქმებულნი არიან და საქმლის მომნელებელ ორგანოებშიაც უმეტეს ნაწილად იმისთანებში, რომლებიც უსარგებლონი და ზეტნი არიან. ასეთები არიან, მაგალითად, სხვილი ნაწლევის გაგრძელება — ჭიაყელა-მაგვარი ბაბილო (processus vermicularis), რომელიც გადასაგვარებლად გალეულია და სავსე ამ მიკრობებით, თვითონ კუჭი, რომელიც მხოლოდ საქმლის მომნახველ ჭურჭლობას ეწევა და თავისუფლად შეიძლება ამოიჭრას, რადგანაც ოთხი მაგალითი უკუჭოთ არსებობისა უკვე ვიცით და დასასრულ, მეტი ნაწილი წვრილი ნაწლევებისა, რადგანაც შეიძლება ადამიანმა წვრილი ნაწლევების მხოლოდ ⅓-თაც თავისუფლად იცოცხლოს. რაც შეეხება სხვილს ნაწლევს, არც იგია ადამიანისათვის საჭირო, რადგანაც ყოფილა მაგალითები, როცა სხვილი ნაწლევი სრულიანად ამოუჭრიათ და ავადმყოფს ეს არაფრად მიუჩნევია, გამოკეთებულა, უცოცხლნია.

ამ რიგად ადამიანის სხეულს მოეძებნება ძლიერ განვითარებული და ყოვლად უსარგებლო ორგანო, სხვილი ნაწლევი, რომელიც აუარებელს მავნე და მომშხამველს მიკრობებს შეიცავს და ადვილად შეიძლებოდა ამოგვეჭრა, არა გვქონოდა. მაშ, როგორ მოხდა, რომ დარვინის ტეორია არ გამართლდა და, როგორც უსარგებლო, არ გადაგვარდა იგი, არ მოისპო, დღემდის შეგვრჩა? როგორცა ჰხედავთ, სხვილი ნაწლევი გადასაგვარებლად, მოსასპობად გალეულს რუდიმენტსკი აღარ წარმოადგენს, სრულად განვითარებული ორგანოა.

მეჩნიკოვის აზრით, სხვილი ნაწლევი ბალახის მჭამელ ხერხემლიან ცხოველებს უთუოდ მათის ცხოვრებისა და საზრდოობის განსაკუთრებულმა გარემოებამ განუვითარა. უსწორობა აქ მხოლოდ ევოლიუციის მსვლელობის შეფერხებასა და დაგვიანებას ეტყობა, რაიცა შეიძლება მკურნალებმა და დოსტაქრებმა დააჩქაროონ—ჯერ ერთი, მიკრობებთან უფრო მხნედ ბრძოლითა და მერმე, თვითონ ამ უსარგებლო ორგანოების თავიდგან მოშორებით ანუ ამოჭრით, რომლებიც მავნე და მომშხამველს მიკრობებს მიუდგომელ ბუდეთ გაჰხდომიანო.

ერთი სიტყვით, მეცნიერი აღნიშნულ ორგანოების ამოჭრას, თავიდგან მოცილებას გვირჩევს, როგორც მავნე და უსარგებლო რამ ტვირთისას; აი, რამ აალაპარაკა და განაცვიფრა განათლებული კაცობრიობა.

როგორ, ამოვჭრათ და გადავყაროთ კუჭი, სხვილი ნაწლევები და ⅔ წვრილი ნაწლევებისა? ან მთელი კანის გაუქმებული ნაჩვრეტები ამოვლესოთ რითმე, გადავფხიკოთ, რომ ეს დამღუპველი ბუდე და თავშესაფარი მიკროსებისა სამუდამოდ თავიდგან ავიცილოთ? ვინ არის მერმე იმისი თავდები, რომ უკუჭოდ და უნაწლევებოდ ადამიანი უკეთ იცოცხლებს, ბევრი რამ არსებითი და მაცოცხლებელი სასიკვდილოდ არ შეეცვლება, ადამიანი ადამიანობას-ღა გასწევს? კითხულობენ განცვიფრებულნი ყოველი მხრიდგან და გაბედულს აზრს დღემოკლე ადამიანის დღე-გრძელად გარდაქმნის მოტრფიალე მეცნიერისას მხოლოდ უბრალო გატაცებათა სთვლიან; არავის სჯერა, თუ შესაძლებელია მართლა ეს უწმინდურების საჭურჭლე ორგანოები შეიძლება ერთს დროს უფრო გონივრულად როგორმე მოეწყოს და 7—8 არშინიანი წვრილი ნაწლევები მხოლოდ ⅓-ზედ დადგეს და არსებობისათვის ისიც საკმარისი იყოს.

მერმე ის გაჭიანურებული საქმლის მოსანელებელ ორგანოების მილი, რომელიც პირიდგან იწყება და ათასნაირადა სცვლის და ჰხარშავს საქმელს, ხომ გაუქმდა და ვეღარც ორგანიზმი გამორჩა რასმეს ამ საზრდოს, მეხანიზმი არსებობისა მთლად მოეშალაო? და სხ. და სხ.

ერთი სიტყვით, ყველა მხრიდგან აუყაყანდნენ, უნდობლად შეეგებენ, ყველას არსებული ჩვეულების შეცვლისა ეშინიან: როგორ, მაშინ ხომ პირის დანიშნულებაც გაუქმდა, მთელი ეჭამადის სადენელი მილი გადაგვარდაო? თითქოს ეს მართლა ისე დიდი უბედურება იყოს!

განა, ამას არ ნატრობს ყველა, მეტადრე ამ გასაჭირს დროში, რომ რაც შეიძლება ნაკლები საზრდოთი მოვრჩე, გაუმაძღარი კუჭი ზომიერებას მივაჩვიოო! განა ამასვე არ სცდილობს დღევანდელი მეცნიერება, თუ შეიძლება საზრდოდ ისეთი რამ გამოვიგონოთ, რაიცა ადვილი საშოვნელიც იყოს და ადვილი სახმარებელიც, რომ სამზარეულო და სხვა ამ გვარი სამძიმო მოწყობილობანი სრულიად გააუქმონ! ნეტავ, იმას რა ემჯობინებოდა, რომ უბრალო წამალივით ადამიანი მხოლოდ მზა-მზარეულოს აბებს ჰყლაპავდეს და პირს მხოლოდ როგორც მეტყველების ორგანოს ისე ჰხმარობდეს. მერე რა მიმზიდველი იქმნებოდა მაშინ ადამიანი: აღარც პირის ავადმყოფობანი, აღარც კბილისა, აღარც საზარელი სუნი, რომელიც მხოლოდ უსუფთაობისა და ნარჩენი საქმლის ნაყოფია, სხვა არასფერი...

მაგრამ ძველის ახალზედ შეცვლა ადამიანს აგრე არ ეადვილება, მეტადრე მაშინ, როდესაც ცვლილება ასე ძირითადია, როგორც ამ შემთხვევაში. არ ვიცით, მართლა ველირსებით თუ არა მეჩნიკოვის ნეტარს დროს, როდესაც საზრდოობის წესიც სხვაფრივ შეიცვლება და ეს ჩვენი უხილავი მტრებიც გუდა-ნაბადს აიკიდებენ და გაგვშორდებიან, მაგრამ ჩვენ მაინც მეცნიერის გაბედული აზრის თაყვანის მცემელნი ვართ და ვუსურვებთ ფაგოციტოზის დიდებულს ავტორს სიკვდილ-სიცოცხლის მწარე საკითხის გარდასაწყვეტად დიდხანს ეცოცხლოს.

Morosus.

სკოლას ყველგან თავისი ბეჭედი დაასვა და მისი ცხოვრების მიმდინარეობაში გამოიწვია ზოგიერთა საჭირ-ბოროტო საკითხი, რომელთა ასე თუ ისე გარდაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის შინა და გარე ცხოვრებაში.

ამ გარემოებას ყურადღება მიაგცია ბ-მა მამინაიშვილმა და სკოლების დღევანდელ მდგომარეობის სავსებით გასათვალისწინებლადა და შესაფერის საშუალების გამოსაძებნელად მიმდინარე წლის ათს ივლისს სვანეთის სკოლების საპატიო მზრუნველის თავ. თათარყან დადეშქელიანის სახლში მასწავლებელთა კრება მოახდინა, რომელსაც თვითონ ჰთავმჯდომარეობდა. კრებამ გასტანა ორს დღეს და განიხილა სულ რამდენიმე საკითხი, რომელთა შორისაც აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს. ვისაც-კი სვანეთში უმოგზაურნია, სვანების საშინელს სიღარიბეს უთუოდ შეჰნიშნავდა. აი, ეს სიღარიბე სკოლასაც სწვდა და შეიქმნა უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად, რომლითაც სკოლის წინსვლა ძლიერ ფერხდება. მართალია, სვანს არა ეხარჯება-რა —არც მასწავლებლისთვისა და არც სასწავლო ნივთებისათვის, მაგრამ იმდენად ხელ-მოკლეა, რომ ტანთა და ფეხთ ველარ აცმევს თავისს შვილს რიგიანად, რომ სკოლაში სიარული ყოველ დროს შეეძლოს. ეს ფაქტი ერთხმად იქმნა აღიარებული კრებისაგან. ამის შესახებ ბ-მა მამინაიშვილმა შეიტანა წინადადება, რომ სვანეთში წმ. კვირიკესა და ივლიტეს სახელობაზე დაარსდეს „ძმობა“, რომლის აზრიც უნდა იყოს სვანეთის სკოლების ღარიბ შეგირდების დახმარება ტანისამოსისა და ფეხთ-საცმელის მიწოდებით და ზამთრობით სკოლაზედ დაშორებულ მოწაფეების სკოლის მახლობლად დაბინავებით და სხ... „ძმობის“ არსებობის უმთავრესი წყარო საწევრო ფულები უნდა იყოს და, ამის გარდა, კრებამ სთხოვა ბ-ნს მამინაიშვილს — იშუამდგომლოს ქრ. აღმ. საზოგადოების საბჭოს წინაშე, რომ მან „ძმობას“ ყოველ-წლიური დახმარება აღმოუჩინოს ხუთი თუმნით. ძმობის გამგეობა უნდა შესდგეს თავმჯდომარისა, მისის ამხანაგის და ორის წევრისაგან. თავმჯდომარეობა კრებამ ერთხმად თავ. თათარყან დადეშქელიანსა სთხოვა, რომელმაც ამაზედ თანხმობა განაცხადა.

მეორე საყურადღებო წინადადება ბ-ნის მამინაიშვილისა, რომელიც კრებამ მიიღო, ორის სასწავლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების „საწყობის“ დაარსებაა სვანეთში. ასეთი „ს წყობის“ დაარსება სვანეთში დიდს საჭიროებას შეადგენს. მართალია, სამოსწავლო წლის დამდეგს თვითოეული სკოლა იღებს ქრ. აღმ. საზოგადოების საბჭოსაგან საჭირო სასწავლო ნივთებს, მაგრამ მათი რაოდენობა ყოველთვის არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; ამიტომ ხშირად სკოლას შუა წელიწადში აკლდება სასწავლო ნივთები, ხოლო მათი გამოწერა ტფილისიდგან იმ დროს ყოველად შეუძლებელია, რადგანაც გზები შეკრულია, მიმოსვლა არ არის. ასეთის დამაბრკოლებელ გარემოების თავიდგან ასაცილებლად კრებამ გარდასწყვიტა სასწავლო ნივთების საწყობი დაარსოს სვანეთში. საწყობს უნდა ეგზავნოს საბჭოსაგან განსაზღვრული რიცხვი სასწავლო ნივთებისა, რომელთა დაახლოვებითი ნუსხაც თვითონ კრებამ შეადგინა. ამ ორი საგნის გარდა კრების ჟურნალში შეტანილი იქმნა ბევრი ისეთი რამ, რის განხორციელებაც თვალსაჩინოდ შეამსუბუქებს მასწავლებელთა ფრიად მძიმე ტვირთსა და სკოლის გარეგან კეთილდღეობას დიდად ხელს შეუწყობს.

რაც შეეხება სკოლის შინაგან ცხოვრებას, ე. ი. სწავლა აღზრდის საქმეს, უნდა შევნიშნოთ, რომ აქაც შემუშავებულ იქმნა კრების მიერ სალი საპედაგოგო პრინციპები, რომლებიც სვანეთის სულიერს ვითარებასა და მისს კულტურულს მდგომარეობას სავსებით შეესაბამებიან, რომ ჯერ კიდევ ველური ოჯახიდგან გამოსული სვანის ბავშვი არ დააფრთხონ და სკოლა არ შეაძულონ, არამედ სიყვარული და მიდრეკილება ჩაუნერგონ მისდამი. იმ საპედაგოგო საშუალებათა შორის, რომლებიც კრებამ შეიმუშავა, უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია შემდეგი: 1) ქართულის ენის შემწეობით სწავლება ყველა საგნების პირველ ორს წელიწადს და აგრეთვე მესამესაც რამდენიმედ. მხოლოდ მეოთხე გასათავებელ წელს უნდა სწარმოებდეს ყველა საგნების სწავლება რუსულის ენის შემწეობით; 2) სვანის სარწმუნოებრივი მსოფლიო მხედველობა, სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზებისა გამო, შეიცავს ისეთს ელემენტებს, რომლებიც წმიდა ქრისტიანულ შეხედულება-წარმოდგენას არ შეეფერებიანდა სჭიროა მოსპობილ იქმნენ. ამის შესახებ კრებამ ის აზრი გამოსთქვა და დაადგინა, რომ სკოლამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სვანეთში ნამდვილ ქრისტიანულ შეხედულობის დამყარებაში, მაგრამ მეტის-მეტი სიფრთხილითა და თანდა-თანობით უნდა იქცეოდეს, რომ ამ გარემოებამ ხალხს სკოლა სრულიად არ შეაძულოს; 3) რამდენისამე წლის დაკვირვება-გამოცდილებამ ცხად-ჰყო ის მოვლენა, რომ სვანები მეტის თანაგრძნობით ეპყრობიან და უფრო ხალისიანად აძლევენ თავის შვილებს იმ სკოლებში, სადაც საეკკლესიო გალობას ასწავლიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სკოლა სვანეთში ამ ჟამად მხოლოდ ორია. დანარჩენნი ხალხის ასკეთს თანაგრძნობასა და მიმზიდველს ძალას მოკლებულნი არიან. ამიტომ კრებამ ბ-ნს მამინაიშვილს შუამდგომლობა სთხოვა, სადაც ჯერ არს, რომ სვანეთის სკოლებისთვის განსაკუთრებული გალობის მასწავლებელი იქმნეს დანიშნული 600 მან. ჯამაგირით წელიწადში. გარდა ამისა, მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყოვლად-სამღვდელო დეონიდს თხოვნა მიართვეს, რომ იშუამდგომლოს და ქრ. აღმ. საზოგადოების საბჭოს ჯამაგირი მოამატებინოს.

ანტონიძე.

უცხოეთი

—

ინგლისი. ინგლისს ეხლა რამდენიმე ადგილას სჭირია ენერგიული მოქმედება: ავგანისტანში, სამხრეთ-აფრიკაში, ჩინეთში და სპარსეთის ყურეში. როგორ იმოქმედებს ინგლისი?—ეს დამოკიდებულია იმის ფინანსების მდგომარეობაზე. ტრანსვაალთან ომის დაწყების შემდეგ ინგლისს ვალი ძლიერ ემატება. მართალია, უკანასკნელის ექვსი თვის განმავლობაში შემოსავალმა 300 მილიონ ფრანკით იმატა, მაგრამ ეს მაინც ბევრს არაფერს შეადგენს. აპრილში ინგლისმა 1,350 მილიონი ფრანკი ისესხა, მაგრამ იმავე დროს 2,500 მილიონი ფრანკი დახარჯა ბურებთან ბრძოლაში. ფინანსთა მინისტრს იმედი ჰქონდა, რომ მომავალი თვიდამ ომი დასრულდებოდა და ხარჯი შემოაკლდებოდა, მაგრამ ბურებმა ახლა უფრო მედგრად გამოიალაშქარეს, ფული ინგლისს ეხლა უფრო სჭირია და რა გზით იშოვის იმას—ძნელი გამოსაცნობია.

— კოვეიტის საკითხი, „Frankfurter Zeitung“ სიტყვით, მშვიდობიანად გადაწყდა. ინგლისი თანახმაა ხონთქრის სუვერენიტეტი გამოცხადდეს იმ პირობით-კი, რომ ოსმალეთის გარდა სხვა არც ერთმა სახელმწიფომ არ დაიჭიროს ეს ქალაქი.

— გერმანიის ერთს გაზეთს კონსტანტინეპოლიდამ ატყობინებენ, რომ სამხრეთ არაბეთში, ინგლისისა და ოსმალეთის საზღვარზე ინგლისელებმა რამდენჯერმე დაარღვიეს საზღვარის ხელშეუხებლობა; ამას ზედ ოსმალეთის წინააღმდეგ მომხდარი ამბოხება დაერთო და ყველა ამან აიძულა ოსმალეთი 9 ბატალიონი და არტილერია გაეგზავნა იქ წესიერების დასამყარებლადო.

ლივერპულში ირლანდიელმა დეპუტატმა, ოკონნორმა, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ ირლანდიის ნაციონალისტების პარტია მზადაა შეუერთდეს ლიბერალებს, თუ ისინი გლადსტონისაგან ნაჩვენებს გზას დაადგებიანო.

საფრანგეთი. გაზეთებში გამოქვეყნებულია დელკასსეს წერილი კალვესთან. კალვე რამდენიმე ხნის წინად სთხოვდა მინისტრს, იღონეთ რამე და რუსეთში შესატანი ღვინოებზე ბაჟი შეამცირებინეთო. მინისტრი ეხლა იმ პასუხს აძლევს, რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ შეიქმნება ამაზე თანახმა, როდესაც საფრანგეთი თავის მხრივ შეამცირებს ბაჟს რუსეთიდამ შემოსატან პურზე და მეურნეობის სხვა ნაწარმოებზეო.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრო-უნგრეთის რეიხსტაგს პირველს სხდომაზე 1901 წლის ბიუჯეტს წარუდგენენ დასამტკიცებლად; ფინანსთა მინისტრს აზრადა აქვს 1902 წლის ბიუჯეტიც იმავე სხდომაზე წარუდგინოს.

— რეიხსტაგს ერთ-ერთს პირველს სხდომაზე წარუდგენენ აგრეთვე პროექტს ბეჭდვითის საქმის კანონებში ცოტაოდენი ცვლილების შესახებ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. 3-ს ოქტომბერს დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე უავგუსტოესის მეუღლით და უავგუსტოესის შვილებით უკან დაბრუნდა.

კიევი. შორეულ აღმოსავლეთიდამ მეშვიდე საპიორების ბატალიონი უკან დაბრუნდა.

ჩისტოპოლი. მდინარე კამაზე გემების მიმოსვლა თავდება. დღეს უკანასკნელად გაიარეს საფოსტო გემებმა.

ტიუმენი. მეთევზეების ხომალდები მშვიდობიანად დაბრუნდნენ მდინარე ობის ჩასართავიდამ. მოიტანეს დამარილებული თევზი 250,000 ფუთი.

ფეოდოსია. პურის ბაზარი ცხოველდება: ხორბალი 8 მან. 15 კაპეიკიდამ 8 მან. 70 კაპეიკამდე ფასობს, ქერი—57 კაპ.

კალუგა. სამეურნეო გამოფენა გათავდა.

კოპენჰაგენი. გუშინ, ღამის ორ საათზე, ფინლიანდიის საქონლის საზიდი ნავი „ლუისი,“ რომელიც ბრეკიდამ ბობილში მოსცურავდა, პერშილლინის მახლობლად დაეჯახა რუსეთის რკინის ნავს „კონკორდიას,“ რომელსაც რიგიდამ ჰამბურგში სკიპიდარი მოჰქონდა. შეჯახება ნაპირიდამ ასი მილის მანძილზე მოხდა. ფინლიანდიის ნავი მაშინვე ჩაიძირა. მეზღვაურები, 14 კაცი, გადაარჩინა დანიის გემმა „ლაკურმა“ და მიიყვანა ესბირგში; აქედამ შუადღის შემდეგ ჰამბურგში წაიყვანეს ჩვენების ჩამოსართმევად. რუსეთის კაპიტანმა უარჰყო „ლაკურის კაპიტანის“ წინადადება, იმისი მენავეებიც თავის გემზე გადაესხა და ნავიც ბუქსირით მიეტანა ჰამბურგამდე. ეს მოთხოვნა „ლაკურის“ კაპიტანმა (?) არ დააკმაყოფილა, რადგანაც ის მიღებულის ინსტრუქციების წინააღმდეგი იყო. ფინლიანდიის ნავის კაპიტანს თავი დაშავებული აქვს.

ნიუ-იორკი. ლაგვაირიდამ მოსულის ცნობებით, ვენეცუელის პრეზიდენტმა მანიფესტი გამოსცა, რომელშიაც ამბობს, რომ, თუ კოლუმბია ოფიციალურად აცნობებს ვენეცუელას თავის მიმართვას შეერთებულ შტატებისადმი შუამდგომლობისათვის, მაშინ ვენეცუელა სიამოვნებით გამოირკვევს საკითხს, უნდა მიჰმართოს თუ არა იმან შეერთებულს შტატებს, როგორც კოლუმბიის წარმომადგენელს. თუ კოლუმბიამ პასუხი არ მისცა, საქმე გაძნელდება.

პარიზი. საბერძნეთის მეფე გუშინ მოვიდა და სადარბაზოდ იყო რესპუბლიკის პრეზიდენტთან. დელკასსემ გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროში გახსნა სხდომა წონისა და ზომების საერთო კონფერენციისა.

ბეტერბოროგი. ნორდენშილდის ექსპედიცია სამხრეთის პოლიუსისაკენ გაემგზავრა.

კოპენჰაგენი. [illegible] რომ დანიის [illegible] სესხი, რომელიც უმთავრესად [illegible] ფრანგეთშია მოგროვილი, 5-ს ოქტომბერს ფინანსთა მინისტრს [illegible] დაეცემა.

4-ს ოქტომბერს.

პორტსმუტი. სასამართლომ [illegible] მხედრო გემის „კობრას“ დაღუპვა [illegible] დაადგინა, რომ უბედურების მიზეზი გემის სუსტი კონსტრუქციიყო, და ეჭვი შეიტანა, რომ გემ[illegible] საზღვაო სამინისტროსაგან მიღებული ყოფილიყოს.

სიმლა. დაკაში მიღებული [illegible] ნიფესტი ახალის ემირისა საჯარო [illegible] იქმნა წაკითხული. მანიფესტში [illegible] თქვამია, რომ ხაბიბულლას გადაწყვეტია სათნოიანად მოეპყრო ხალხს, შეამციროს მიწაზე გაწერილი გადასახადი და მოუმატოს ჯამაგირი სამხედრო მოხელეებს [illegible] დაგარში გმირის სიკვდილის ცნობას არავითარი უწესოება არ გამოუწვევია.

კოგნო. 3 ოქტომბერს გაქურდეს გურბიჩის მაღაზია. ქურდებმა მაღაზიის კედელი გაუნგრევიათ [illegible] 3,000 მან. ქონება გაუტანიათ [illegible] მაღაზია დაზღვეული ყოფილ[illegible] 18,000 მან.

ბორისოგლებსკი. საერობო [illegible] კრებამ დაადგინა სოფლებში [illegible] კინსა და პიჩაევში, ბორისოგლებ[illegible] სკის მაზრაში ქსენონების გახსნა [illegible] და ამისათვის საერობო თანხიდ[illegible] 12,000 მან გადასდო.

ბერლინი. გერმანიის ელჩი ლ[illegible] ნდონში ისე ძლიერი ავადმყოფ[illegible] შეიქნა, რომ მოსაფიქრებელია, [illegible] მსახურს თავს დაანებებს. ვინ იქნ[illegible] ბა იმის ადგილზე დანიშნული [illegible] იციან.

კონსტანტინოპოლი. კუდიან[illegible] ციის დროს ხონთქარმა საბერძნ[illegible] თის ელჩს უთხრა, საერთო ლონ[illegible] ძიება უნდა მივიღოთ გამორკვეულ[illegible] შეთანხმების ოასადებად, თუმ[illegible] ეხლაც კარგი განწყობილებაა ჩვ[illegible] შორისო. ელჩმა აღუთქვა, ხონთ[illegible] ქარის კეთილ გაწყობილება თავ[illegible] მთავრობას აცნობოს.

პეკინი. იმპერატორის სასახლ[illegible] 28 სექტემბერს, ტუნივანფუში მ[illegible] ვიდა; აქ რამდენი დღე დარჩებიან.

ლონდონი. ოლდერშოტიდ[illegible] იცნობებიან, რომ დურგამას [illegible] ვორსშესტერშერის რაზმებს გუშინ[illegible] ღამე შეტაკება მოუხდათ. დურგამ[illegible] რაზმიდამ ხუთი კაცთა მოკლულ[illegible] სასამართლო შეუდგა საქმის გამ[illegible] ძიებას.

განცხადება

ᲕᲐᲫᲚᲔᲕ

სასამართლოს საქმეებისა გ[illegible]

მო რჩევებს, ვწერ თხოვნებს [illegible] ყოველ გვარ საჩივრებს; აგრეთ[illegible] ვკისრულობ საქმეების წარმოებ[illegible] სასამართლოებში, ღარიბებს უს[illegible] ყიდლოდ. მე-5 ნაწ. კათოლიკე[illegible] ქუჩა, სახლი № 25.

(3—215—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.